საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №9

ქ. თბილისი

03.07.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი);
რამაზ ჭილაია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი, სხდომის მდივანი;
ლაშა ლაბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. **სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია:**
ნინო ჯოჯუა - რექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
მარიამ დარბაიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

2. **შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი:**

დავით ჩერქეზიშვილი - რექტორი;
რუსუდან ჩიქოვანი - პრორექტორი;
შალვა მაჭავარიანი - პრორექტორი სამეცნიერო დარგში;
დავით ბოსტოღანაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნატო ალავიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

3.შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი:
ლიკა ლომაია - ხარისხის სამსახურის უფროსი;
გიორგი ჯამბურია- ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;
მაია გონაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ციცო ხითარიშვილი - კანცელარიის უფროსი;
თინათინ ლოლიაშვილი - ასოცირებული პროფესორი.

4.შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი:
კონსტანტინე კულიჯანოვი - ინფორმატიკისა და ინჟინერიის დეკანი;
ქეთევან ჯინჭარაძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- ნინო ბალანჩივაძე;
- თამარ ჩოკორაია;
- თამარ გაიხარაშვილი;
- ხათუნა საგანელიძე;
- მარინე მაისურაძე;
- ნანა იაშვილი;
- გიორგი ღაღანიძე;
- გოჩა თუთბერიძე;
- მანანა ხაჩიძე;
- ნანა არაბული;

საბჭოს სხდომა 16:09 საათზე დაიწყო. თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიების და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
კრედიტების რაოდენობა	60

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ბალანჩივაძემ და თათია ჩოკორაიამ წარადგინეს. მათ საბჭოს წევრებს გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. განახლებას საჭიროებდა კურსის სილაბუსში მითითებული მასალა;
2. ცალკეულ სილაბუსში შემცირებული იყო გრამატიკის თეორიული ნაწილი და ენის პრაქტიკულ ასპექტებზე მომხდარიყო კონცენტრირება (მაგ. პრაქტიკული გრამატიკა 1 და 2);
3. გასაძლიერებელი იყო მოსმენის კომპონენტი, სტუდენტებისთვის შეთავაზებული ყოფილიყო უფრო მრავალფეროვანი აუდიომასალა;
4. სასურველი იქნებოდა, პროგრამაში ჩართულ პედაგოგებს დამატებით გაევლოთ პროფესიული ტრენინგები ქართულ ენაში მომზადების სპეციფიკის კუთხით.

აქვე ექსპერტებმა დაამატეს, რომ მასწავლებლებს ჰქონდათ მუშაობის გამოცდილება და პროგრამა გავიდოდა შედეგზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება. აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო ჯოჯუამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ აბიტურიენტები მოდიოდნენ ენის ცოდნის დაბალი დონით. როგორც წესი, მათთან კომუნიკაცია თარჯიმნის მეშვეობით ხდებოდა და დიდ ძალისხმევას მოითხოვდა მათთვის ენის სწავლება.

ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ რეკომენდაციას მიესალმებოდნენ და მოხარულები იქნებოდნენ, თუ პერსონალი გაითვალისწინებდა აღნიშნულ რჩევას. დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებოდნენ მოსმენის ნაწილის გაძლიერების შესახებ რეკომენდაციას და განაცხადეს, რომ მუშაობდნენ ამ საკითხზე.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ვისთვის იყო პროგრამა განკუთვნილი. დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ პროგრამაზე ირიცხებოდნენ საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც ეროვნულ გამოცდებს აბარებდნენ სომხურ, აფხაზურ, ოსურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მათ დაამატეს, რომ წელს პირველად ჰყავდათ დარეგისტრირებული ოსურენოვანი პირი, თუმცა მან ვერ დაძლია ფიზიკური შემოწმების ტური, რაც აკადემიაში ჩასარიცხად აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა.

აკადემიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სიტუაციურ გრამატიკას ასწავლიდნენ კომუნიკაციის გასამარტივებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ურბანული დაგეგმარება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქიტექტურის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნანა იაშვილმა და მარინე მაისურაძემ წარადგინეს. მათ აღნიშნეს, რომ ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო და არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა ერთად შეამოწმეს და ორივე პროგრამასთან დაკავშირებით ჰქონდათ ერთი რეკომენდაცია:

- საგანმანათლებლო პროგრამების მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, სასურველი იქნებოდა ციფრული ტექნოლოგიების მუდმივად მზარდი განვითარება/ცვლილებებიდან გამომდინარე პროგრამისთვის მატერიალურ ტექნიკური ბაზის მუდმივად განახლება/გადაიარაღება და სპეციალური სტუდიური სივრცის შექმნა.

ექსპერტების თქმით, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა გამოიჩინეს პასუხისმგებლობა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ყველა ტექნიკური უზუსტობა ადგილზევე გაასწორეს:

- სასურველი იქნებოდა, სასწავლო კურსი „თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები“ დამატებულიყო არჩევით სასწავლო კურსის სახით, ხოლო სასწავლო კურსს „ქალაქის პროექტირება (ქალაქის ცენტრი)“ ნაცვლად არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსისა მინიჭებოდა სავალდებულო კურსის სტატუსი, რაც მეტად უზრუნველყოფდა პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგს.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიმდინარეობის დროს გათვალისწინებული იქნა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სურვილი და ცვლილებები შევიდა ურბანული სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსის ასევე არჩევითი სასწავლო კურსის ჩამონათვალში.

- მიზანშეწონილი იყო სასწავლო კურსის სახელწოდება „აკადემიური წერა“ სამაგისტრო პროგრამაში შეცვლილიყო სახელწოდებით „აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის“ და ნაცვლად სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსისა მინიჭებოდა არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი.

ასევე ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების საკითხი, ინვენტარის ნაწილი - კომპიუტერული პერიფერია, სამხატვრო ტუმბო/სკამი, სამხატვრო დაფა და სახაზავი მაგიდა უნივერსიტეტმა ვიზიტის დროს შეისყიდა დაწესებულებამ. ამ ყველაფრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექსპერტებმა დასკვნას თან დაურთეს.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოთხოვნა იყო, სტუდენტი ყოფილიყო არქიტექტურის ბაკალავრი და ჩაებარებინა უცხო ენა.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, პროგრამისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა თუ ჰქონდათ შესყიდული. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ყველა პროგრამის ლიცენზირებული ვერსიები ჰქონდათ შესყიდული, რაც საკმაოდ ძვირი დაჯდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქიტექტურის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტებმა, ნანა იაშვილმა და მარინე მაისურაძემ აღნიშნეს, რომ წინა პროგრამის მსგავსად, გარკვეული ცვლილებები ვიზიტის დროსვე განხორციელდა - კერძოდ, სილაბუსების სახელწოდება „ინფორმაციული მოდელირება -1“, „ინფორმაციული მოდელირება -2“, „ინფორმაციული მოდელირება -3“, „ინფორმაციული მოდელირება -4“ შეიცვალა და ტერმინი „ინფორმაციული“ შეიცვალა ტერმინით „ციფრული“ („ციფრული მოდელირება 1“ და ა.შ.).

იგივე მდგომარეობა იყო ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით და ექსპერტებს რეკომენდაციაც იგივე ჰქონდათ, რაც ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო პროგრამაზე - საგანმანათლებლო პროგრამების მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, სასურველი იქნებოდა ციფრული ტექნოლოგიების მუდმივად მზარდი განვითარება/ცვლილებებიდან გამომდინარე პროგრამისთვის მატერიალურ ტექნიკური ბაზის მუდმივად განახლება/გადაიარაღება და სპეციალური სტუდიური სივრცის შექმნა. რაც ასევე, ვიზიტის დროს შეიძინა უნივერსიტეტმა და შესაბამისი დოკუმენტაცია დასკვნას თან ერთვოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა. უნივერსიტეტის რექტორმა, დავით ჩერქეზიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ვითარდებოდა. 4 წელი იყო, რაც ბაზარზე შემოვიდა, აკრედიტებული ჰქონდათ 20-მდე პროგრამა, მათ შორის 4 ინგლისურენოვანი, თანამშრომლობდნენ საერთაშორისო

პარტნიორებთან და მუშაობდნენ ორ ერთობლივ პროგრამაზე. გარდა ამისა, სრულდებოდა ახალი კორპუსის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა საჭირო რესურსებით და შენდებოდა ყველა მოთხოვნის დაცვით.

საბჭოს ნანა შათაშვილი დაინტერესდა პროგრამის წინაპირობითა და აკადემიური პერსონალით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამის ხელმძღვანელიცა და ჩართული პერსონალიც ადგილობრივი იყო. მან დაამატა, რომ პროგრამის წინაპირობა შეზღუდული არ იყო მეოთხე საგნით და აბიტურიენტს თავისი სურვილისამებრ შეეძლო გადაეწყვიტა, რას ჩააბარებდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლედ აღწერა:

პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლება მაგისტრთან გათანაბრებული (II საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა თამარ გაიხარაშვილმა და ხათუნა საგანელიძემ წარმოადგინეს. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სწავლების კლინიკურ ეტაპზე დამამთავრებელ სემესტრებში სტუდენტებისთვის უფრო მეტი არჩევითი საგნების შეთავაზება;
- სტუდენტისთვის კვლევითი უნარ-ჩვევების განმავითარებელი აქტივობების შეთავაზება, კონკრეტული კვლევითი პროექტის განხორციელება (მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად) არსებული სასწავლო კურსების ფარგლებში ან დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით.
- კურსის „კლინიკური უნარ-ჩვევები“ სწავლების მიზნების, ასევე შედეგების დაკორექტირება და მისი კურსის შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანა.
- კურსების „ზოგადი ქირურგია“, „კერძო ქირურგია“ და „დერმატოვენეროლოგია“ სწავლის შედეგების მიზნებთან და შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ სილაბუსში ჩანაწერის გაჩენა კომუნიკაციის უნარის განვითარების შესახებ;
- ტექნიკური უზუსტობის გასწორება ჩარიცხვის წინაპირობებთან დაკავშირებით;

- რიგ სასწავლო კურსებში (ადამიანის ანატომია, სამედიცინო ბიოქიმია, ჯანდაცვის მენეჯმენტი) სტუდენტის შესაფასებლად დაგეგმილი იყო ვერბალური შეფასება 12-14 ჯერ და 4 ქვიზი, რაც ექსპერტების აზრით, პრაქტიკულად განუხორციელებელი იქნებოდა 15 კვირის ფარგლებში. რეკომენდაცია გულისხმობდა შეფასებების რაოდენობის შემცირება.

- სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობის შესახებ ინფორმაცია ასახულიყო სასწავლო კურსის სილაბუსშიც.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ იყო თუ არა ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფილი პროგრამის ფარგლებში. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ბაზები შესაბამისობაში იყო საჭიროებებთან. მათ აღნიშნეს, რომ შეხვდნენ ღუდუშაურის კლინიკის დირექტორს, რომელიც ძალიან აქტიურად იყო ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ღუდუშაურის კლინიკა გამოარჩიეს იმ ნიშნით, რომ მრავალპროფილური იყო და ფსიქიატრიის მიმართულებაც კი ჰქონდა, თუმცა ასევე სხვა დაწესებულებებთანაც იყო გაფორმებული ხელშეკრულებები.

ექსპერტების თქმით, კლინიკური უნარ-ჩვევები პირველივე კურსიდან ისწავლებოდა.

თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა. პროგრამის ხელმძღვანელმა, ნატო ალავიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ცვლილებების უმეტესობა გასწორებული და ცენტრში წარდგენილი იყო. საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით უნივერსიტეტს ჰქონდა შიდა რეგულაცია, რომლითაც ისედაც იყო გათვალისწინებული კონსულტაცია 2 საათის მოცულობით, რის გამოც, სილაბუსებში აღარ გაწერეს.

საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ ბიოლოგიის მიმართულებით უფრო მეტი საგანი იყო პროგრამაში, ვიდრე ფიზიკის მიმართულებით. ნატო ალავიძემ უპასუხა, რომ პროგრამით გათვალისწინებული იყო ბიოფიზიკის კურსი. მან დაამატა, რომ კურსები შერჩეული იყო იმ სწავლის შედეგების მიხედვით, რომელიც მოითხოვებოდა შესაბამისი სტანდარტით, რადგან სპეციალობა რეგულირებად პროფესიათა რიცხვში შედიოდა.

ნანა შათაშვილი დაინტერესდა პერსონალით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამას ახორციელებდა პერსონალი, რომელსაც გავლილი ჰქონდა კონკურსები და ჰქონდა ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენცია. კლინიკურ მიმართულებაზე ძირითადად ადგილობრივი კადრები იყვნენ დასაქმებულები.

ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა პროგრამისთვის საჭირო არა სამედიცინო ლაბორატორიებით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ასეთი ლაბორატორიები ჰქონდა უნივერსიტეტს, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებაში ხორციელდებოდა ფარმაციის პროგრამაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დიპლომირებული

მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
16:52 საათზე სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.
სხდომა განახლდა 17:01 საათზე.

5. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	124

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გიორგი ღაღანიძემ და გოჩა თუთბერიძემ წარმოადგინეს.

მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, უნივერსიტეტს პროგრამის შემუშავებამდე ჩაეტარებინა შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნილებების სრულყოფილი ანალიზი, რაც უზრუნველყოფდა ხარისხიანი და შრომის ბაზარზე ორიენტირებული თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას;
- გასწორებულიყო პროგრამაში მითითებული კრედიტების რაოდენობა;
- სასწავლო კურსები - მენეჯერული ეკონომიკა, ინოვაციური მენეჯმენტი და ფინანსური ანგარიშგება გამხდარიყო სავალდებულო, ვინაიდან ექსპერტთა აზრით, ეს კურსები მაგისტრებს უვითარებდა რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარებს;

- სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის ჩანაცვლება „ბიზნესის კვლევის მეთოდებით“.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ექსპერტთა ამ ჯგუფისთვის უჩვეულოდ მოკლე რეკომენდაციები ჰქონდათ ექსპერტებს.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამაში ჩართული იყო ბევრი ახალგაზრდა კადრი, ბევრ მათგანს განათლება მიღებული ჰქონდათ კარგ უნივერსიტეტებში და იცავდნენ სადოქტორო ხარისხებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია გონაშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ის დოკუმენტი, რაც ექსპერტებმა ნახეს, იყო დიდი კვლევის ნაწილი. მოთხოვნის შემთხვევაში, შეეძლოთ აღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსიის წარმოდგენა. ამის გარდა, ჩატარებული იყო გამოკითხვა, თუ რამდენად საჭირო იყო პროგრამის შემუშავება.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, მაია გონაშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო საუნივერსიტეტო საგანი, რომელიც ისწავლებოდა სხვა პროგრამებზეც, სწორედ ამის გამო იყო პროგრამის მოცულობა 124 კრედიტი.

რაც შეეხებოდა არჩევით და სავალდებულო საგნებს, კონსულტაციები გაიარეს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, შეისწავლეს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და კურსს „ინოვაციური მენეჯმენტი“ ყველგან არჩევითი სტატუსი ჰქონდა. მან დაამატა, რომ უნივერსიტეტი ბევრ არჩევით საგანს სთავაზობდა სტუდენტს, 88 კრედიტის მოცულობით, რაც იძლეოდა ლავირების საშუალებას.

ნანა შათაშვილი დაინტერესდა მათემატიკის საგნები თუ იყო ჩადებული პროგრამაში. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათემატიკა არ იყო გათვალისწინებული და არც ამის საჭიროება იდგა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეს იყო კლასიკური პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში და არ ჰქონდა ჩაშლილი მოდულებად მიმართულებები.

ექსპერტმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ საკითზე დიდხანს საუბრობდნენ და მისთვის მთავარი არგუმენტი დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან იყო ის, რომ აღნიშნული პროგრამა ასე უფრო კარგად პასუხობდა უნივერსიტეტის შესაძლებლობებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არ იყო შეზღუდული და ნებისმიერ მსურველს შეეძლო ჩაებარებინა, ვინც შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას დაძლევდა სპეციალობაში. გარდა ამისა, არჩევითი საგნები 88 კრედიტის მოცულობით იძლეოდა საშუალებას, სტუდენტს გაეღრმავებინა ცოდნა იქ, სადაც დასჭირდებოდა.

ნანა შათაშვილმა უარყოფითად შეაფასა ის გარემოება, რომ პროგრამაზე არ იყო შეზღუდული მიღება წინარე კვალიფიკაციით და ეჭვი გამოთქვა, რომ მაგალითად ფილოლოგს შეძლებოდა დაეძლია პროგრამა. მისი აზრით, წინაპირობის სახით, საჭირო იყო გარკვეული კრედიტები მაინც ყოფილიყო მოთხოვნილი ბიზნესის ადმინისტრირების საგნებში. პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ აპლიკანტს უნდა ჩაებარებინა შიდა გამოცდა, რასაც გარკვეული ცოდნის გარეშე ვერ შეძლებდა. ამას გარდა, კანონმდებლობა აძლევდა სტუდენტს საშუალებას, შეეცვალა პროფესია სამაგისტრო საფეხურზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიების და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმატიკის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მანანა ხაჩიძემ და ნანა არაბულმა წარადგინეს. მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ საქართველოში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ამ ვიწრო მიმართულებით არ არსებობდა. ბაზარზე კი იყო აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნა და შესაბამისად, კარგი ნიშა ჰქონდა დაჭერილი დაწესებულებას. მან დაამატა, რომ რეკომენდაციები არ ატარებდნენ შენიშვნების ხასიათს და მხოლოდ პროგრამის გაუმჯობესებას ემსახურებოდნენ:

1. ძირითადად პროგრამაში შემავალი სავალდებულო და არჩევითი კურსების თანმიმდევრობა დაცული იყო, რაც ხელს უწყობდა შესაბამისი კომპეტენციების ეტაპობრივ ჩამოყალიბებას. ამასთან, პროგრამის არჩევითი კურსები სტუდენტს უღრმავებდა შესაბამისი მიმართულების თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. მაგრამ იყო რამდენიმე სასწავლო კურსი, რომელთა გარკვეული ცვლილება გააუმჯობესებდა პროგრამის მიზნების მიღწევას. კერძოდ:

- საგანის „ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება“ შესწავლა მოითხოვდა უმაღლესი მათემატიკის საფუძვლიან ცოდნას. რადგან პროგრამაზე დაიშვებოდა ნებისმიერი სპეციალობის

ბაკალავრი და ასევე, პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილ სპეციალობის გასაუბრების საკითხთა ნუსხაში არ იყო მათემატიკური საკითხები, უმჯობესი იქნებოდა ეს საგანი გადანაცვლებულიყო არჩევით საგანთა ნუსხაში;

- რადგან პროგრამაზე დაიშვებოდა ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრი და ასევე პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილ სპეციალობის გასაუბრების საკითხთა ნუსხაში წარმოდგენილი იყო მონაცემთა ბაზები, უმჯობესი იქნებოდა საგანი „მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვის სისტემები" გაძლიერებულიყო ან გადანაცვლებულიყო არჩევით საგანთა ნუსხაში;

- პროგრამის ძირითადი სათაურიდან გამომდინარე, (ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა) კარგი იქნებოდა პროგრამაში დამატებულიყო საგანი, რომელიც სხვადასხვა სისტემურ (მობილური, ინდუსტრიული და სხვ.) პლატფორმებს შეასწავლიდა.

2. პროგრამაში ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაში იყო უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერთან, სწავლის შედეგები ძირითადად გაწერილი იყო ექვსი კრიტერიუმის მიხედვით. თუმცა, პროგრამით მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ინტერდისციპლინური ინფორმატიკის მაგისტრი (040106) ზუსტად არ ასახავდა პროგრამაში გაწერილ მიზნებს. პროგრამის ავტორების მიერ მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხად შერჩეული იყო ქვედარგი. პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე ლოგიკური იქნებოდა მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი შემოფარგლულიყო მიმართულების (ინჟინერია 04) დარგის - ინფორმატიკა 0401 - მითითებით.

3.შეფასების მეთოდები მრავალფეროვანი იყო და შეესაბამებოდა საგნის სპეციფიკას, მაგრამ რიგ საგნებში მკვეთრად არ იყო გამოკვეთილი კვლევითი კომპონენტი, რომელსაც ის რეალურად შეიცავდა. ამ ნაწილის დაზუსტება და ცხადად წარმოდგენა გააუმჯობესებდა სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტმა განმარტა, რომ რეალურად ხდებოდა პროექტის შეფასება, თუმცა ეს კარგად არ ჩანდა ფორმაში. არ იყო ცხადი თითოეული კომპონენტის შეფასების მექანიზმი.

ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, რატომ სჭირდებოდა ღრმა მათემატიკის ცოდნა ადამიანს ინფორმაციის დაცვისა და უსაფრთხოების საგანში. მანანა ხაჩიძემ უპასუხა, რომ სილაბუსის თემატიკის მიხედვით საჭირო იქნებოდა მათემატიკის ცოდნა, რადგან ისე იყო შედგენილი საკითხები, რომ სტუდენტს დასჭირდებოდა რიცხვთა თეორიისა და მოდულური არითმეტიკის ცოდნა. ნანი არაბულმა დაამატა, რომ ის თავად ასწავლიდა სხვა უმაღლეს სასწავლებელში ამ საგანს და მათემატიკის ცოდნის გარეშე სტუდენტებს უჭირდათ კურსის დაძლევა.

საბჭოს თავმჯდომარემ ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდების მიხედვით, კურსდამთავრებული უნდა ყოფილიყო სპეციალისტი, რომელიც მზა მოდულებზე შექმნიდა პროდუქტს და მისი საქმე არ იქნებოდა კოდების წერა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო, და ასევე მათ დაამატეს ოპერაციული სისტემების კურსი.

კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ბიზნეს ადმინისტრირების ქუდის ქვეშ, ერთ-ერთ ქვედარგად არსებობდა ინფორმაციის მენეჯმენტი და შეცდომაში რომ არ შესულიყვნენ და არ შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ ამ კვალიფიკაციაზე იყო საუბარი, ამის გამო შეაჩერეს ინტერდისციპლინური ინფორმატიკის მაგისტრზე არჩევანი. თუმცა, ექსპერტებს ეთანხმებოდნენ და გადაწყვიტეს კვალიფიკაცია მიენიჭებინათ მიმართულების მიხედვით, ანუ კვალიფიკაცია ყოფილიყო - ინფორმატიკის მაგისტრი და არა ინტერდისციპლინური ინფორმატიკის მაგისტრი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ აღნიშნული საკითხი გაიტანეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე და პროგრამას

შეუცვალეს კვალიფიკაცია. აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი დაწესებულების წარმომადგენელმა წარუდგინა საბჭოს წევრებს. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მათ რეკომენდაციაც ის იყო, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ყოფილიყო - ინფორმატიკის მაგისტრი.

უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ რეალურად ბაზარზე მოთხოვნა გაჩნდა უნივერსალურ სპეციალისტზე მულტიმედია მიმართულებით - ვინც შექმნიდა ელექტრონულ ბიბლიოთეკას, ცნობარს, ელ. მაღაზიებს და ა.შ. ასევე, ის ადამიანები, ვინც ტექნოლოგია იცოდა, იწყებდნენ საკუთარ ბიზნესს, თუმცა იმის გამო, რომ მათ არ იცოდნენ მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბუღალტერია და ფინანსები, წინ ვერ სწევდა თავის საქმიანობას. შესაბამისად, გადაწყვიტეს შეევსოთ ეს ნაწილი.

ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ ის საშიშროებას ხედავდა ამ შემთხვევაში ინფორმატიკის მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭებაში, რადგან ინფორმატიკის საგნები არ იყო დიდი რაოდენობით პროგრამაში.

მანანა ხაჩიძემ განაცხადა, რომ ინტერდისციპლინური ინფორმატიკის ხარისხის მინიჭება უფრო გაუმართლებელი იქნებოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში საჭირო იყო სხვადასხვა დარგის საგნების პროცენტული გადანაწილება 50/50-ზე. ამ შემთხვევაში კი პროგრამაში ინფორმატიკის საგნები შეადგენდა დაახლოებით 70%-ს.

ნანა შათაშვილი დაინტერესდა, რატომ ურჩიეს ამ შემთხვევაში ექსპერტებმა მათემატიკის ამოღება, როდესაც ინფორმატიკის კვალიფიკაციაზე იყო საუბარი. მანანა ხაჩიძემ განმარტა, რომ ექსპერტების რეკომენდაცია არ იყო მათემატიკის ამოღება, მათ შესთავაზეს რამდენიმე ვარიანტი. უნივერსიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო სილაბუსი შეეცვალა ისე, რომ არ ამოვარდნილიყო მათემატიკა.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შესძლებოდა მოდულების კარგად გამოყენება, ის იქნებოდა სპეციალისტი, რომელიც დაკვეთას მისცემდა პროგრამისტს და ეტყოდა ზუსტად რა დასჭირდებოდა და აღნიშნა, რომ ასეთ კადრებზე მოთხოვნა ნამდვილად არსებობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო და ოფიციალურადაც წარმოადგენდნენ ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიების და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა ნანა შათაშვილმა, ვინაიდან მისთვის მიუღებელი იყო პროგრამისთვის კვალიფიკაციის შეცვლა.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიების და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა 17:50 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი
ანანო გიორგაძე